ოქმი:**ო37. 3723121001**

თარიღი:**01/05/2023**

ოქმი # 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2023 წელი 28 აპრილი

ქ. ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ტ. აროშიძე, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე, ქ. ხომერიკი, მ. ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე ლ. ბიგვავა მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მათ მიაწოდა კვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს მიმართა წინადადებით დღის წესრიგიდან, უკეთ შესწავლის მიზნით, ამოეღოთ N 5 საკითხი-„ქალაქ ოზურგეთში, ჭადრების პარკში (ს/კ 26.26.47.162), ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტის განთავსებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე“ და დამატებით განეხილათ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე“ ამ ცვლილებით ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი:დ. ჭაკნელიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

4. ა(ა)იპ ,,ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ ჩატარებული კვლევის ,,მშობლების შრომითი მიგრაციის ზეგავლენა მათი არასრულწლოვანი შვილების აღზრდისა და განვითარების ფაქტორებზე“ განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ქ. ხომერიკი

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დაეწერა დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეს დ. ჭაკნელიძეს შესაბამისი პროცედურების განხორციელების მიზნით.

6. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ“ - განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

7. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

გადაწყვიტეს:

ბიუროს დღის წესრიგში წარმოდგენილი ექვსივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი, სხდომის დღის წესრიგში განხილვა- დამტკიცების მიზნით.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი